სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/56

ქ. თბილისი 3 ივლისი 2019

სტუ-ის ფართობების იჯარით გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, ბ-ნი ბექა მაისურაძის 2019 წლის 1-ელი ივლისის №875511 სამსახურებრივი ბარათისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 3 ივლისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. კანონით დადგენილი წესით იჯარის უფლებით 5 წლის ვადით გაიცეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ქვემოთ ჩამოთვლილი ფართობები:
   1.1. ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-3, მე-4 სასწავლო კორპუსების ცოკოლის სართულზე არსებული 405,86 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი (მ.შ. ანტრესოლი 100 კვ.მ) მიმდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 311,7 კვ.მ მიწის ნაკვეთთან ერთად. ობიექტი გაიცეს კვების ობიექტის მოწყობისა და საოფისე საქმიანობის მიზნით;
   1.2. ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-3, მე-4 სასწავლო კორპუსების ცოკოლის სართულზე არსებული 268,3 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი მიმდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 270,3 კვ.მ მიწის ნაკვეთთან ერთად. ობიექტი გაიცეს კვების ობიექტის მოწყობის მიზნით;
   1.3. ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-3, მე-4 სასწავლო კორპუსების მიმდებარედ არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 364,2 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ობიექტი გაიცეს ღია კვების ობიექტის მოწყობის მიზნით;
   1.4. ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №71-ში მდებარე მე-7 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 122,6 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი. ობიექტი გაიცეს საოფისე საქმიანობის მიზნით.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**